

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №316

2019 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“:

1. 12⁹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ¹“ ქვეპუნქტი:

„ლ¹) მაღალბიუჯეტიანი საბოლოო პროდუქტი – ამ პროგრამის მიმართულებების შესაბამისად ნაწარმოები აუდიოვიზუალური პროდუქცია, რომლის ნაწილობრივ ან მთლიანად საქართველოში განსახორციელებლად ამ პროგრამის 12¹³ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად საჭირო მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალური მოცულობა აღემატება 30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარს და სააგენტოში წარდგენილია აღნიშნული საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ 10 (ათი) ქვეყანაში საჯარო ჩვენების შესახებ დოკუმენტაცია;“.

2. 12¹² მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის 12⁹ მუხლის „ლ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაღალბიუჯეტიანი საბოლოო პროდუქტისა და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებას 25 (ოცდახუთი) პროცენტის ოდენობით;“.

3. 12¹³ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ პუნქტი:

„9¹. სააგენტო, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი სახეზე იქნება პროგრამის 12⁹ მუხლის „ლ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროდუქტი (მაღალბიუჯეტიანი საბოლოო პროდუქტი), განახორციელებს მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის 25 (ოცდახუთი) პროცენტის ანაზღაურებას.“.

4. დანართ №2-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 24¹ პუნქტი:

„24 ¹ 024 ¹	საქართველოში ცხოვრების, ღამისთევის ხარჯები (მ. შ. სასტუმროს ხარჯები) პერსონალისთვის, ამ პროგრამის 12 ⁹ მუხლის „ლ ¹ “ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში	30%.“.
-----------------------------------	---	--------

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



